

თამარ გამეზარდაშვილი

აღკვეთის ღონისძიების მიზნები საფუძველები და დასაბუთება

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0178, საქართველო  
სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 თამარ გამეზარდაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

## იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თამარ გამეზარდაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „აღკვეთის ღონისძიების მიზნები საფუძვლები და დასაბუთება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი: \_\_\_/\_\_\_/\_\_\_

ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_

2020 წელი

ავტორი: თამარ გამეზარდაშვილი

დასახელება: აღკვეთის ღონისძიებების მიზნები საფუძვლები და დასაბუთება

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროვინციების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართება სლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

სამართალწარმოების განხორციელების პროცესში, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა ეს ცხადია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მათი გამოყენება განხორციელდეს არა დაუსაბუთებლად, შაბლონურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, არამედ სათანადო საფუძვლების არსებობისას, იყოს მართლზომიერი, პროპორციული და დაუსაბუთებლად არ ზღუდავდეს ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა პროკურორის უფლებამოსილებაა. შესაბამისად, ბრალდების მხარე ვალდებულია წარდგენილ შუამდგომლობაში დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახის მართლზომიერება და სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პირველ რიგში, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობა.

ფაქტობრივი საფუძველი დაკავშირებულია მტკიცებულებით სტანდარტთან, რაც ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილი და სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, უნდა ადასტურებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. რაც შეეხება ფორმალურ საფუძველებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებს და მოითხოვს, რომ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რეალური და დასაბუთებულია ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მტკიცებულებათა განადგურებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეების არსებობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არა არიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარემ ალკვეთის ღონისძიების გამოყენება უნდა მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახეზეა ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლებიდან მინიმუმ ერთი მაინც და დაასაბუთოს მისი არსებობა არა აბსტრაქტულად, როგორც ხშირად ხდება პრაქტიკაში, არამედ წარმოადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაადასტურებს, რომ პროკურორის მიერ მითითებული საფრთის/საფრთხეების განხორციელების მოლოდინი რეალურია და არ წარმოადგენს მის წარმოდგენასა და დაუსაბუთებელ ეჭვს.

მას შემდეგ რაც დადასტურდება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის საჭირო მიზნებისა და საფუძვლების არსებობა, ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს ალკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების მართლზომიერება და მოითხოვოს ალკვეთის ღონისძიების ისეთი სახის გამოყენება, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ძირითად და დამატებით ალკვეთის ღონისძიების სახეებს. ძირითადი სახეებია: გირაო, პირადი თავდებობა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში - მეთვალყურეობაში გადაცემა და ბოლოს, პატიმრობა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც „უკიდურესი ღონისძიება“. ალკვეთის ღონისძიების ძირითადი სახეებიდან, ყველაზე ხშირად გამოიყენება: პატიმრობა და გირაო. აღნიშნული ტენდენცია ცალსახად გაუმართლებელია და ვფიქრობთ, განპირობებულია იმით, რომ ძირითადი ღონისძიებების ჩამონათვალი არ არის საკმარისი და საჭიროებს გაფართოებას. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ფართო დისკრეცია იმისა, რომ ბრალდებულის მიმართ შეარჩიოს ალკვეთის ღონისძიების ისეთი სახე, რომელიც შესაბამისობაში იქნება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან; ბრალდებულის პიროვნებასთან; იქნება პროპორციული, როგორც სავარუდოდ ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან,

ასევე ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების განეიტრალებას.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, აღკვეთის ღონისძიებების ძირითად სახეებთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებსაც, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ ძირითად ღონისძიებებთან ერთად. ვფიქრობთ, აღნიშნული შეზღუდვა ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი და შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არსებული პრაქტიკის შეცვლას და თავიდან იქნება აცილებული ყველაზე მკაცრი ღონისძიებების აქტიურად გამოყენების ტენდენცია.

## Abstract

In the course of legal proceedings, it is clear that using of restraining measures is extremely important, but it is also very important that using them should not be unreasonable, based on stereotyped decisions. And when there are appropriate grounds, it should be lawful, proportionate and it should not restrict the rights and freedom of defendant.

It is the power of the prosecutor to apply to the court to use the preventive measure. Accordingly, the prosecutor is obliged to rationalize the legitimacy of certain type of restraining measure requested by him and the impossibility of using another, less severe preventive measure. Therefore it is clear that, first, the prosecutor must rationalize the factual and formal grounds necessary to use the preventive measure.

The factual base is related to the standard of proof, which means that the combination of the evidence presented and the evidence in the criminal cases, should prove the fact that a person has committed a crime. As to the formal grounds, the Criminal Procedure Code of Georgia contains the purposes and grounds for using preventive measures and requires that it should be used only if there is a real and confirmed risk of hiding the defendant, destroying evidence and committing a new crime. Consequently, use of a preventive measures is permissible only to ensure that defendant will not hide, he/she will attend the court hearing and the decision of the court will be enforced.

Therefore, the prosecutor should request the use of prevention measures only if it is necessary and justified.

Once the existence of the purposes and grounds for the use of prevention measures has been confirmed, the prosecutor must prove the legitimacy of using certain type of prevention measure and should request the measure which ensure the proper behavior of the defendant.

The Criminal Procedure Code of Georgia provides the main and additional types of preventive measures. The main types are: bail, personal bail, agreement on absence and proper conduct, supervision of the command of the military serviceman, in the case of a juvenile defendant - transfer to supervision, and finally, imprisonment, which should be used as an "extreme measure". Among the main types of preventive measures, the most commonly used are: imprisonment and bail. This tendency is not justified and we think, the reason is that the list of key measures is not sufficient and it is needed to be expanded. The judge should have a wide discretion to choose a proper form of preventive measure against defendant that is relevant to the facts of the case; With the personality of defendant; Which will be proportionate to severity of the alleged criminal act committed and will ensure the security of our society.

As mentioned above, in addition to the main types of preventive measures, the Criminal Procedure Code of Georgia provides additional measures, which can be used

only in conjunction with the main measures. We believe that these restrictions should be repealed and it should be possible to use them independently, without any restrictions, which we believe will significantly help to change existing practices and to avoid the tendency of using the most stringent measures.

## შინაარსი

შესავალი.....	8
ლიტერატურის მიმოხილვა .....	10
თავი I. აღკვეთის ღონისძიების პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი.....	12
II. აღკვეთის ღონისძიების სახეები.....	14
2.1. პატიმრობა.....	15
2.2. გირაო.....	20
2.3. შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.....	26
2.4. პირადი თავდებობა .....	27
2.5. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა	28
2.6. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა.....	31
III თავი. აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები.....	33
3.1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი .....	34
3.2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.....	36
3.2.1. მიმალვის საფრთხე.....	38
3.2.2. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე.....	42
3.2.3. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....	47
დასკვნა.....	51
ბიბლიოგრაფია .....	57



## შესავალი

აღკვეთის ღონისძიება სისხლის სამართლის პროცესში ის საკითხია, რომელიც თითქმის ყველა სისხლისსამართლებრივ დევნას მოჰყვება და რეალურ ცხოვრებაში მხარეებისთვის მუდმივი ინტერესისა და ვნებათაღელვის საგანია<sup>1</sup>. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა და აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლოში მიმართვა პროკურორის პრეროგატივაა. სწორედ მან უნდა დაასაბუთოს რატომ უამდგომლობს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას და რატომ არის მიზანშეუწონელი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ პროკურორი შემოიფარგლოს არა ზოგადი მითითებით, რომ გაუმართლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, არამედ კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით უნდა დაასაბუთოს რატომ უზრუნველყოფს მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიება კანონით განსაზღვრულ მიზნებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდეგში სსსკ) ითვალისწინებს რამდენიმე სახის აღკვეთის ღონისძიების სახეს, თუმცა პრაქტიკაში ძირითადად ორი სახის აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება: პატიმრობა და გირაო. სხვა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ფაქტი იშვიათია<sup>2</sup>.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ პატიმრობის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2018 წელთან შედარებით გაიზარდა, კერძოდ, 2019 წელს აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 11031 შემთხვევაში, მათგან

---

<sup>1</sup>ნიპარიშვილი ბ., აღკვეთის ღონისძიების - სამხედრო სამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ჟურნალი "მართლმსაჯულება და კანონი", N2(58)'18.

<sup>2</sup><<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-8.pdf>> [20.08.2020].

პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 47.2 % - ია (5205 შემთხვევა), მაშინ როდესაც 2018 წელს აღკვეთის ღონისძიება 9997 შემთხვევაში იქნა გამოყენებული, საიდანაც პატიმრობის ხვედრითი წილი 43.1%-ია (4308 შემთხვევა). იგივე შეიძლება ითქვას გირაოს გამოყენების შემთხვევაშიც. მისი გამოყენების შემთხვევათა რაოდენობამ არასაპატიმრო ღონისძიებების დაახლოებით 96% შეადგინა<sup>3</sup>, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენება თითქმის არ ხდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. ნაშრომის ფარგლებში ვიმსჯელებთ რამდენად სრულყოფილად ხდება აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება, რა გახლავთ ძირითადად მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მიზეზი და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფარგლებში ბრალდებულთა უფლებების შეზღუდვა არის თუ არა გამართლებული და პროპორციული.

ნაშრომის მიზანია გაუმჯობესდეს აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების ხარისხი და ბრალდებულთა უფლებების შეზღუდვა არ მოხდეს აბსტრაქტულ საფრთხეებზე მითითებით, რადგან შაბლონური დასაბუთება და არარსებულ საფრთხეებზე მსჯელობა წინააღმდეგობაში მოდის როგორც შიდასახელმწიფოებრივი ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

მიზნის მისაღწევად კი გამოყენებული იქნება ანალიტიკური, დესკრიფციული და შედარებითი მეთოდები. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნება სამეცნიერო ლიტერატურა, სამართლებრივი აქტები. განხილულ იქნება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული მიდგომები.

ნაშრომი შედგება შესავლის, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიის, სამი თავისა და თორმეტი ქვეთავისგან, რომელთაგან პირველი თავი ეხება აღკვეთის ღონისძიებების პრევენციურ-უზრუნველყოფელ ხასიათზე მსჯელობას; აღკვეთის ღონისძიებების სახეები და მათ დასაბუთებასთან დაკავშირებული მიდგომები განხილულ იქნება მეორე თავში; მესამე თავში კი ვიმსჯელებთ აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივ და ფორმალურ

---

<sup>3</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 , 132.

საფუძვლებზე, განვიხილავთ თითოეული საფუძვლის დასაბუთებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ვიმსჯელებთ მათი გადაჭრის გზებზე;

### ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა იქნა გამოყენებული, თუმცა მათგან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარზე. მითითებული სახელმძღვანელოს ძირითად ლიტერატურად გამოყენება განაპირობა იმან, რომ მასში სიღრმისეულადაა განხილული საკვლევ თემასთან დაკავშირებული საკითხები. მოგეხსენებათ, რომ ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნება ალკვეთის ღონისძიებების გამოყენებასა და დასაბუთებასთან დაკავშირებული პრობლემები და შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოში ყველაზე უკეთ არის წარმოჩენილი და შესწავლილი ის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული იმისთვის, რომ ალკვეთის ღონისძიებების გამოყენება მოხდეს არა დაუსაბუთებლად, არამედ იყოს მართლზომიერი, შესაბამისი ფაქტობრივ გარემოებებთან და ყველაზე უკეთ ახდენდეს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების უგულებელყოფას.

კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ასევე ხათუნა ყვირალაშვილის რედაქტორობით შექმნილ სახელმძღვანელოს „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, სადაც ფართოდ იქნა განხილული საკითხი იმის შესახებ რამდენად აქვს მოსამართლეს ფართო დისკრეცია იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს ის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და

ამავდროულად დაუსაბუთებლად არ შეზღუდავს მის უფლებებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში შემუშავებული იყო რეკომენდაციები, რომლებიც ძალიან დაგვეხმარა და რომელთა პრაქტიკაში დანერგვაც ხელს შეუწყობს კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის დახვეწას.

ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში ასევე აქტიურად იქნა გამოყენებული ნანა მჭედლიძის სახელმძღვანელო „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“, რომელიც დაგვეხმარა, რომ მკაფიო წარმოდგენა შეგვექმნოდა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა, ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ევროპულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

რაც შეეხება მალხაზ ლომსაძის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს „სისხლის სამართლის პროცესი (მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)“, მისი გამოყენება განაპირობა იმან, რომ მასში მკაფიოდაა წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიებების არსი და აღკვეთის ღონისძიებების სახეების ბუნება.

## თავი I. აღკვეთის ღონისძიების პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი

აღკვეთის ღონისძიება შესაძლოა წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თანმდევ მოვლენას, რომლის მიზანია მართლმსაჯულების შეუფერხებელი და ჯეროვანი განხორციელება და საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვა<sup>4</sup>. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ნიშნავს არა პირის დასჯას ან მისი ბრალეულობის მტკიცებას, არამედ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულებაა, რომლის გამოიყენება ხდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ<sup>5</sup> და რომლის მიზანია ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებაა და გააჩნია პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი<sup>6</sup>.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ყველა სისხლის სამართლის საქმეში აუცილებელი არ არის. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნები და თუ მათი მიღწევა შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ის არ უნდა იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული პირისთვის ბრალის წაყენება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას დაწვრილებით და სიღრმისეულად უნდა

---

<sup>4</sup>თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს კონსტიტუციური წარდგინება N1341.

<sup>5</sup>ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი (მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი: ბონა კაუზა, 2014, 21.

<sup>6</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 558.

შეფასდეს ბრალდებულის პიროვნული თვისებები, სისხლის სამართლის საქმის გარშემო არსებული გარემოებები და შემდეგ განისაზღვროს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მართლზომიერება<sup>7</sup>.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან ცხადია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლე უფლებამოსილია, სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ უარი თქვას მის გამოყენებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ მოითხოვს ყველა ბრალდების საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც საქმის, ასევე კონკრეტული ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები. შესაბამისად, ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე ან/და თანამონაწილეების მიმართ ერთი და იგივე აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენება ერთ შემთხვევაში იქნება დასაბუთებული, მეორე შემთხვევაში დაუსაბუთებელი<sup>8</sup>.

დასკვნის სახით, რომ ვთქვათ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას, სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ საკითხთა ჩამონათვალი სანიმუშოა და მოსამართლემ უნდა შეაფასოს გარემოებები, რომლებიც მიუთითებს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების აუცილებლობას, მოთხოვნილზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ან პირიქით, გამოყენების მიზანშეუწონლობას<sup>9</sup>.

---

<sup>7</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის N18/386-17 განჩინება.

<sup>8</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 559.

<sup>9</sup>იქვე.

## II. აღკვეთის ღონისძიების სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების ორ სახეს: ძირითად და დამატებით ღონისძიებებს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ჩამოთვლის ძირითად ღონისძიებებს<sup>10</sup>, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ, ხოლო მეორე ნაწილში საუბარია დამატებით ღონისძიებებზე, რომლებიც ბრალდებულის სათანადო ქცევის დამატებითი კონტროლის საშუალებაა და რომლებიც, პირობითად, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს, ესენია: გაადგილების/მიმოსვლის თავისუფლების შემზღვევითი ღონისძიებები; მონიტორინგი/ზედამხედველობა სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების მხრიდან; ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა<sup>11</sup>. ამ ჩამონათვალის გარდა, შესაძლებელია სხვა ისეთი ღონისძიების გამოყენებაც, რომელიც არ არის აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში, თუმცა აუცილებელია ჯეროვანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

პროცესის მწარმოებელ პირს მხოლოდ ერთი ძირითადი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა/გამოყენება შეუძლია, თუმცა ძირითად ღონისძიებასთან ერთად შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნეს სსსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დამატებითი ღონისძიებაც<sup>12</sup>. შესაბამისად, დამატებითი ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ძირითად აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად.

---

<sup>10</sup> გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმისარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.

<sup>11</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ. გიორგაძის რედაქტორობით, 572.

<sup>12</sup> იქვე, 570.

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, რომ დამატებითი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბრალდების მხარის მოთხოვნით თუ სასამართლოც უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით მიიღოს გადაწყვეტილება მის გამოყენებაზე? პასუხი ცალსახაა - დამატებითი ღონისძიების გამოყენება, საკუთარი შეხედულებით, სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრალდებულის მიმართ იყენებს შუამდგომლობაში მითითებულზე უფრო მსუბუქ აღკვეთის ღონისძიებას<sup>13</sup>. მაგ: ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გირაოს გამოყენება 5 000 ლარის ოდენობით, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება უფრო ნაკლები ოდენობის გირაოს გამოყენებაზე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით შეუძლია რომელიმე დამატებითი ღონისძიების გამოყენება, მაგრამ თუ სასამართლო ბრალდებულის მიმართ იყენებს იმ სახის აღკვეთის ღონისძიებას, რომელიც შუამდგომლობაში იყო მითითებული, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამატებით სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული სხვა ღონისძიების გამოყენების უფლება არ გააჩნია<sup>14</sup>.

## 2.1. პატიმრობა

ზოგიერთი იძულების ღონისძიება შეიძლება იმდენად ერეოდეს ადამიანის პირად თავისუფლებაში, რომ ჩაითვალოს სასჯელად<sup>15</sup>. ამ მხრივ ყველაზე დიდი საფრთხე დაკავშირებულია პატიმრობასთან, ამიტომ მისი გამოყენება უნდა დაექვემდებაროს მკაცრ შეზღუდვებს და არ უნდა გაგრძელდეს გონივრულ ვადაზე მეტხანს<sup>16</sup>.

---

<sup>13</sup> იქვე, 571.

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 571.

<sup>15</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 201.

<sup>16</sup> იქვე.



პატიმრობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრ სახეს და გულისხმობს გარკვეული პერიოდის მანძილზე ბრალდებულის იზოლაციას საზოგადოებისგან. მისი, ისევე როგორც აღკვეთის სხვა ღონისძიებების, მიზანია არა ბრალდებულის დასჯა ან მისი ბრალეულობის მტკიცება, არამედ პატიმრობა წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის პრევენციას<sup>17</sup>. შესაბამისად, პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების, მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელის შეშლა და ახალი დანაშაულის ჩადენა<sup>18</sup>.

საქართველოს კონსტიტუცია<sup>19</sup>, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია<sup>20</sup> (შემდგომში ევროპული კონვენცია) განამტკიცებს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის, მისი პირადი თავისუფლების უფლებას, როგორც ფუნდამენტური უფლებების ძირითად საყრდენს. სწორედ ამიტომ მასში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც „ultima ratio“<sup>21</sup> და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მისი გამოყენების აუცილებლობის დამაჯერებელი არგუმენტაცია<sup>22</sup>. შესაბამისად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასტურდება დაპატიმრების აუცილებლობა<sup>23</sup>, სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი რელევანტური და საკმარისი გარემოებების საფუძველზე. ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მიუხედავად თავისუფლების უფლების მნიშვნელობისა, ის არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და კანონი განსაზღვრავს მასში ჩარევის შესაძლებლობას, თუმცა ჩარევა უნდა დაექვემდებაროს სასამართლოს კონტროლს. სწორედ ამიტომ, მოსამართლეებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ სათანადოდ დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას<sup>24</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, პატიმრობის გამოყენებისთვის აუცილებელია

---

<sup>17</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგამის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 590.

<sup>18</sup>სსსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>19</sup>საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>20</sup>ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლი.

<sup>21</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>22</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>23</sup>სსსსკ მე-5 მუხლის მე-4 ნაწ.

<sup>24</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის N1გ/1722-16 განჩინება.

სათანადო დასაბუთება. რაც ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ გარდა პატიმრობისა სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უგულებელყოფს ბრალდებულისგან მომდინარესაფრთხეებს. საფრთხეების არსებობა კი უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით და არა ეჭვით, რომ ბრალდებულის თავისუფლების შემთხვევაში ადგილი ექნება მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისთვის ხელი შეშლას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გამორიცხავს რაიმე კონკრეტული პირობის არსებობას, რომელიც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას. მითითებული საკითხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, საქმის არსებითი გარემოებების, ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით<sup>25</sup>, კერძოდ:

ყურადღება უნდა გამახვილდეს ბრალდებულის როლზე დანაშაულის ჩადენაში, მის იმ უნარებსა და შესაძლებლობებზე, რაც წარმოადგენს საფრთხის წყაროს და რომელთა განეიტრალებაც მხოლოდ პატიმრობის გამოყენების პირობებშია შესაძლებელი<sup>26</sup>.

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება არ იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული ან დასკვნების სახით მოწოდებული, დასაბუთება არ იყოს დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი ან აბსტრაქტული<sup>27</sup>.

შესაბამისად, გამართლებული უნდა იყოს პატიმრობის ნებისმიერი პერიოდი, რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს იგი<sup>28</sup>.

რაც შეეხება არსებულ პრაქტიკას პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე პრობლემური საკითხი იჩენს თავს. ერთის მხრივ, ეს გახლავთ პატიმრობის გამოყენების მზარდი სტატისტიკა<sup>29</sup> და, მეორეს მხრივ, დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები.

სასამართლო სხდომებზე, პატიმრობის გამოყენების დასაბუთებას ბრალდების მხარე ხშირად ახდენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ყველა საფუძველზე მითითებით<sup>30</sup>, რაც არასწორია, ვინაიდან მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატიმრობის მოთხოვნა გაამყარებულ იქნეს თუნდაც ერთი საფუძველით, მაგრამ მყარი

<sup>25</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის N1გ/566-17 განჩინება.

<sup>26</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 592.

<sup>27</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 100.

<sup>28</sup>მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, 59.

<sup>29</sup>ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყვირილაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 10.

<sup>30</sup> აღნიშნული დასკვნა გამოტანილ იქნა არაერთ სასამართლო პროცესზე დასწრების შედეგად.

არგუმენტაციით და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მითითებით. ამიტომ ბრალდების მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა წინაპირობაზე აპელირება არ ზრდის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დასაბუთების ხარისხს<sup>31</sup>.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძირითადი არგუმენტი, რაზეც პატიმრობის გამოყენების დასაბუთებისას, აპელირებს ბრალდების მხარე, გახლავთ მოსალოდნელი სასჯელის შიში, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან მხოლოდ აღნიშნული გარემოების მითითებება, სხვა წინაპირობების არსებობის გარეშე, არ უნდა იყოს პატიმრობის გამოყენების საფუძველი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული არგუმენტის მოყვანა თანაბარი სიხშირით ხდება, როგორც ნაკლებად მძიმე ასევე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევებში. შესაბამისად, მხოლოდ სასჯელზე აპელირებით პატიმრობის გამოყენების დასაბუთება შეუსაბამოა ევროპული კონვენციის მიზნებთან<sup>32</sup>. დანაშაულის კატეგორიაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ იტალიის მაგალითი, რომლის თანახმად წინასწარი პატიმრობის გამოყენება არ ხდება იმ ბრალდებულების შემთხვევაში, რომელთა მიმართ წაყენებული ბრალი ითვალისწინებს 5 წლამდე ან ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთას<sup>33</sup>. დაახლოებით იგივე მიდგომა აქვთ ინგლისსა და უელსშიც, პატიმრობა არ გამოიყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, თუ ბრალდებული არ შეეცადა მიმალვას, არ აქვს ჩადენილი დანაშაული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, არ წარმოადგენს საფრთხეს სხვა ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ან არ არსებობს სასჯელის სახით - თავისუფლების აღკვეთის გამოყენების რეალური შანსი<sup>34</sup>. სრულად ვიზიარებთ აღნიშნული ქვეყნების პრაქტიკას და მივიჩნევთ, რომ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე არ უნდა მოხდეს პატიმრობის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სახეზეა ბრალდებულის მხრიდან გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ტენდენციურობა.

პატიმრობაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ოჯახური ძალადობის საქმეები, რადგან მივიჩნევთ, რომ პატიმრობის გამოყენების მზარდი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აღნიშნული კატეგორიის საქმეთა სიმრავლეზე. როგორც აღნიშნული პრაქტიკა ცხადყოფს, სახელმწიფოს მიდგომა ოჯახური ძალადობის საქმეების მიმართ არის მკაცრი და პროკურორი თითქმის

<sup>31</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 593.

<sup>32</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, “გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 303.

<sup>33</sup>აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყვირაღაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 78.

<sup>34</sup>იქვე.

ყველა ბრალდებულის მიმართ ითხოვს პატიმრობის გამოყენებას. ვფიქრობთ, აღნიშნული მიდგომა განპირობებული ჩვენს ქვეყანაში არსებული საგანგაშო სიტუაციით და, მეორეს მხრივ, ქვეყანა ითვალისწინებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მოთხოვნას, რომ „ოჯახში ძალადობასთან მიმართებით წარდგენილ იქნეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“<sup>35</sup>.

ზემოთ გამოთქმულ მსჯელობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოჯახურ ძალადობებთან დაკავშირებით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთმნიშვნელოვნად უმკაცრესი ღონისძიების გამოყენება არ არის ალტერნატივა ვითარების გამოსწორებისა და მას შესაძლოა მძიმე შედეგიც მოჰყვეს თუ არა სხვა მსუბუქი ღონისძიების გათვალისწინება და გამოყენება<sup>36</sup>. აღნიშნული მიდგომა გასათვალისწინებელია, მაგრამ, მეორეს მხრივ, ყურადსაღებია ქალთა და ზოგადად ოჯახის წევრების მიმართ ჩადენილი დანაშაულების სიმრავლე, რაც არც თუ იშვიათად ფატალურად მთავრდება, ამიტომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჯარო ინტერესმა შესაძლოა გადაწონოს პატიმრობის ხშირი გამოყენება, მაგრამ, ვფიქრობთ, აქაც საჭიროა ზღვარის გავლება. კერძოდ, თუ ბრალდებულის მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტი ერთჯერადია და მის ქმედებას არ გამოუწვევია მძიმე შედეგი, ამავდროულად ბრალდებული აღიარებს ბრალს, ვფიქრობთ პატიმრობის გამოყენება ნაკლებად გამართლებულია, მაგრამ თუ ბრალდებულის მხრიდან ადგილი აქვს აღნიშნული ქმედებას მრავალჯერად განხორციელებას, მაშინ პატიმრობის გამოყენებას გამართლებულად მივიჩნევთ, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო ინტერესი გადაწონის პირის თავისუფლების უფლებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიების სახეს. სწორედ ამიტომ, სსსსკ ითვალისწინებს გარკვეული პერიოდულობით მისი გამოყენების გადასინჯვას შემდეგ შემთხვევებში:

1.სავალდებულო წესით<sup>37</sup> - მოსამართლის ინიციატივით 2 თვიანი ინტერვალით და 2. ე.წ. „მოთხოვნისამებრ პროცედურა“, რომლის თანახმად 2 თვიანი ინტერვალის ფარგლებში პატიმრობის გამოყენების გადასინჯვა ხორციელდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მხარეს აქვს შესაძლებლობა დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ

<sup>35</sup>ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება N#24/2009.

<sup>36</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის N1გ/1722-16 განჩინება.

<sup>37</sup>სსსსკ-ის 230<sup>1</sup> მუხლი და სსსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე და შეუზღუდავი რაოდენობით<sup>38</sup>, თუმცა მხარემ უნდა მიუთითოს ახალი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ, რომელთა არსებობამაც შესაძლოა გამოიწვიოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება<sup>39</sup>.

ქართული კანონმდებლობა პატიმრობის გადასინჯვის ნაწილში შეიძლება ითქვას რომ გამართულია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გადასინჯვას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი და ხელი არ შეუწყყოთ გაუმართლებელ და გაჭიანურებულ პატიმრობას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმად ეროვნულ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ წინასწარი პატიმრობა არ ლახავდეს გონივრულ დროს, ამიტომ მათ უნდა შეამოწმონ ყველა ფაქტი, რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს საზოგადოებრივი ინტერესის ნამდვილ მოთხოვნას, რომელიც ამართლებს პირის თავისუფლების პატივისცემიდან გადახვევას<sup>40</sup>.

## 2.2. გირაო

გირაო წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ სახეს, რომლის მიზანია ბრალდებულის ქონებრივი უფლებების შეზღუდვის გზით, მისი სათანადო ქცევისა და შესაბამის ორგანოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფა. სსსსკ-ის მე-200 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს გირაოს სახით ფულადი თანხის ან უძრავი ქონების გამოყენებას. აღსანიშნავია ისიც, რომ გირაოს შეტანის უფლება აქვს როგორც, ბრალდებულს ასევე ნებისმიერ,

---

<sup>38</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 607.

<sup>39</sup>სსსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>40</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, “Labita v. Italy“, პარ. 152;

ბრალდებულის სახელითა და მის სასარგებლოდ მოქმედ პირს. იმ შემთხვევაში თუ გირაოს შეტანა ხორციელდება მესამე პირის მიერ, ეს უკანასკნელი უნდა იყოს ინფორმირებული ბრალდების არსის, დაკისრებული მოვალეობებისა და იმ სამართლებრივი შედეგის შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევას და რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

გირაოს კონკრეტულ ოდენობას საბოლოოდ განსაზღვრავს სასამართლო, თუმცა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი უთითებს, როგორც გირაოს ოდენობას, ასევე მისი შეტანის ვადას<sup>41</sup>. შესაბამისად, გირაოს თანხის განსაზღვრისას, პროკურორმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმის გათვალისწინებით, რომ გირაოს ოდენობა არ იყოს 1 000 ლარზე ნაკლები და მხედველობაში მიიღოს, როგორც ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, ასევე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე<sup>42</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, გირაოს ოდენობის განსაზღვრისას იგივე გულმოდგინების ვალდებულება ეკისრებათ სახელმწიფოებს, როგორც პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას<sup>43</sup>. სრულად ვიზიარებთ ევროსასამართლოს მიდგომას და ვფიქრობთ, რომ გირაოს ოდენობა უნდა იყოს რეალური, სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების თანაზომიერი და აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან პირობას: ერთის მხრივ, თანხის ოდენობას უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი და მისი დაკარგვა ბრალდებულს უქმნის მნიშვნელოვან ქონებრივ დანაკლისს<sup>44</sup>, მეორეს მხრივ, დადგენილი ოდენობა უნდა იყოს გონივრული იმისთვის, რომ ბრალდებულს ან სხვა პირს შეეძლოს მისი გადახდა ან უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში გირაოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის მოთხოვნა/დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს თანხის გადახდას და ამით ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებასა და ე.წ. „შეფარულ პატიმრობას“<sup>45</sup>.

აღნიშნული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად კი მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნეს ბრალდებულის ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი, შემოსავლის ოდენობა, მის კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა,

<sup>41</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>42</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>43</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 ივნისის განჩინება N10ა/2594.

<sup>44</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 577.

<sup>45</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება N1გ/945-17.

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მატერიალურად დამოკიდებული პირები, სოციალურად დაუცველ პირთა ჯგუფის კუთვნილება და ა.შ შესაბამისად, პროკურორს ეკისრება ვალდებულება ჯერ დაასაბუთოს გირაოს გამოყენების შემდეგ კი გირაოს კონკრეტული ოდენობის მიზანშეწონილობა.

პრაქტიკაში გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით იკვეთება პრობლემური საკითხები. ბრალდებულთა 82 %-ის მიმართ გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდების მხარეს ყურადღება არ გაუმახვილებია მათ მატერიალურ შესაძლებლობებზე და არც გირაოს გამოყენების საჭიროების სათანადო დასაბუთება წარმოუდგენია<sup>46</sup>. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხშირად გირაოს გამოყენების დასაბუთება შაბლონურია და ამავდროულად არ ხდება სასამართლოსთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ<sup>47</sup>. მოსამართლეთა ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ დოკუმენტურ დონეზე ინფორმაციის წარდგენა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ყოველთვის უჭირს ბრალდების მხარეს. შესაძლოა ეს განპირობებულ იყოს იმით, რომ პირის დაკავების შემთხვევაში შემჭიდროვებულ ვადებში უნდა მოხდეს ბრალის წარდგენა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის შეტანა და ბრალდების მხარე მოკლებულია შესაძლებლობას შეისწავლოს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, თუმცა ზოგჯერ მათი მხრიდან, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ან სოციალურად დაუცველ პირთა ბაზიდან მონაცემების წარდგენაც კი არ ხდება<sup>48</sup>. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოსამართლეთა ნაწილს, რომ მართლაც რთულია დროის მოკლე პერიოდში მოხდეს ბრალდებულის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა, სწორედ ამიტომ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ უპრიანი იქნება მოხდეს აშშ-ს პრობაციის სამსახურის მსგავსი მოდელის შექმნა, რომელიც ითანამშრომლებს სასამართლოსთან და დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის ბრალდებულის მატერიალური რესურსების შესახებ<sup>49</sup>. პრობლემატური საკითხია და შაბლონურ დასაბუთებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხშირად სხვადასხვა დანაშაულებში ბრალდებულ პირებთან მიმართებით დაახლოებით ერთი და იგივე ოდენობის გირაოს გამოყენების მოთხოვნის დაფიქსირება ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულებისგან მომდინარე საფრთხეები და მათი ეკონომიკური მდგომარეობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია<sup>50</sup>.

<sup>46</sup>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N13, მონიტორინგის პერიოდი : მარტი 2018 - თებერვალი 2019, 12-13.

<sup>47</sup>აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყვირალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 30.

<sup>48</sup>იქვე, 32.

<sup>49</sup>იქვე, 34.

<sup>50</sup>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N14, მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2019 - თებერვალი 2020. 22.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეების მსგავსად გირაოს გამოყენების არსი და მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის არასათანადო ქცევა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს სსსსკ-ის მე-200 მუხლის მე-11 ნაწილი ითვალისწინებს გირაოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას, მაგრამ საინტერესოა რა სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს ბრალდებულის მიერ აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობა და გირაოს თანხის დადგენილ ვადაში შეუტანალობა?

სსსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს გირაოს დადგენილ ვადაში შეუტანალობის სამართლებრივ პროცედურებს და ხაზს უსვამს ნორმის დისკრეციულობას. კერძოდ, ნორმა მიუთითებს გირაოს თანხის გადაუხდელობისას (ან თანხის უზრუნველსაყოფად უძრავი ქონების შეუტანალობისას), უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორი მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით. ეს დანაწესი მიუთითებს პროკურორის უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე, რაც არსებული პრაქტიკითაც დასტურდება, რომ პროკურორი ყველა შემთხვევაში არ მიმართავს სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნით. იმ გარემოების ფონზე, რომ პროკურორს საკითხის გადაწყვეტისას გააჩნია დისკრეცია, არ შეიძლება ეს ნორმა მხოლოდ სასამართლოსთვის იქნეს მიჩნეული იმპერატიული ხასიათის ნორმად. იმ შემთხვევაში თუ პროკურორი მიმართავს სასამართლოს სასამართლოს გირაოს გადახდისთვის დადგენილი ვადის გასვლის გამო გირაოს შეუტანალობის მოტივით ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, სასამართლო არ არის ვალდებული უპირობოდ, საკითხის შესწავლის გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება პირისთვის პატიმრობის შეფარდების შესახებ. გირაოს გადახდისთვის დაწესებული ვადის დარღვევის მხოლოდ ფაქტი არ შეიძლება გახდეს პირისთვის შეფარდებული გირაოს პატიმრობით შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი. უნდა დადგინდეს ბრალდებულის მხრიდან ადგილი აქვს გირაოს თანხის არ გადახდას თუ საქმე გვაქვს ვერ გადახდასთან<sup>51</sup>. ვიზიარებთ სასამართლოს მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ გირაოს შეტანისთვის დადგენილი ვადის დარღვევის ფაქტი, სხვა გარემოებების არსებობის გარეშე არ შეიძლება იყოს გირაოს პატიმრობით შეცვლის ერთადერთი და იმპერატიული საფუძველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გირაოს შეტანისთვის დადგენილი ვადის გასვლასთან ერთად, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს ბრალდებულის მიერ გირაოს გამოყენების პირობისა

<sup>51</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება N1გ/566-17.



და კანონის დარღვევის ფაქტი. სსსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილით თუ ბრალდებული დაარღვევს გირაოს პირობას ან კანონს, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ზემოთ აღნიშნული ჩანაწერის უპირობოდ, სასამართლოს მიერ საკითხის შესწავლისა და შემოწმების გარეშე გადაწყვეტა პირდაპირ ეწინააღმდეგება, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიული აქტების პრინციპს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და გამორიცხავს რაიმე ცალკე არსებული ნორმის არსებობას, რაც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას. შესაბამისად, საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, რომ აღნიშნული მუხლის ნაწილი იმპერატიულად ავალებს სასამართლოს ბრალდებულისთვის უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, სასამართლოს როლს საკითხის გადაწყვეტაში აძლევს ფორმალურ ხასიათს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება იქნება წინასწარ შემუშავებული, შაბლონური სახის<sup>52</sup>.

სსსსკ-ი ითვალისწინებს ორი სახის ე.წ „საპატიმრო“ და „არასაპატიმრო“ გირაოს. მათ შორის არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საპატიმრო გირაოს გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი დაკავებით. შესაბამისად, დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას, გირაოს სრულ ან ნაწილობრივ (არანაკლებ 50%) შეტანამდე ხდება პირის მიმართ პატიმრობის გამოყენება. ხოლო არასაპატიმრო გირაოს გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო განუსაზღვრავს პირს გირაოს თანხის შეტანის ვადას პატიმრობის გამოყენების გარეშე. როგორც სსსსკ განმარტავს, საპატიმრო გირაოს გამოყენება ხდება, როგორც პროკურორის შუამდგომლობით, ასევე სასამართლოს ინიციატივით. მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, ბრალდებულის დაკავების ფაქტი უპირობოდ იწვევს თუ არა დაკავებული პირის მიმართ გირაოს გამოყენებას პატიმრობის უზრუნველყოფით?? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაკავების ფაქტის არსებობა უპირობოდ არ მიუთითებს საპატიმრო გირაოს გამოყენების ვალდებულებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დაკავებული ბრალდებული, სასამართლოს/პროკურორს უფლება აქვს პირის მიმართ გამოიყენოს არასაპატიმრო გირაო და პირიქით, დაკავებული ბრალდებულის მიმართ სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოიყენოს საპატიმრო გირაო იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამის შესახებ არ შუამდგომლობს ბრალდების მხარე, მაგრამ არ შეუძლია უარი თქვას მის

<sup>52</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის განჩინება N18/566-17.

გამოყენებაზე, თუ აღნიშნული მოთხოვნა ექნება პროკურორს<sup>53</sup>. იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი არის აღმჭურველი და არა მავალდებულებელი ნორმა და სასამართლოს ანიჭებს უფლებას შეუფარდოს დაკავებულ პირს გირაო და გაათავისუფლოს დაკავებიდან და მისცეს გარკვეული ვადა გირაოს გადასახდელად ან გამოიყენოს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით<sup>54</sup>. აღნიშნული მოსაზრებისგან გასხვავებული მიდგომა არსებობს პრაქტიკაში და მოსამართლეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს სასამართლოს ვალდებულებას დაკავებული ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის ბრალდებულის სახით დაკავება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რაც სსსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დაკავებულის გათავისუფლების უპირობო საფუძველს წარმოადგენს<sup>55</sup>. უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ მიდგომას არ ვეთანხმებით, რადგან თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების განეიტრალება შესაძლებელი იქნება გირაოს გამოყენების პირობებში, მაშინ პატიმრობის გამოყენება, თუნდაც გირაოს თანხის შეტანამდე გაუმართლებელია, რადგან პატიმრობა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას და მისი გამოყენებისთვის საჭიროა დასაბუთების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი. ამიტომ მხოლოდ დაკავების ფაქტის არსებობა არ შეიძლება ავტომატურად იწვევდეს პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებას.

და ბოლოს, გირაოზე საუბრისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ შემდეგ დეტალზე. როგორც აღვნიშნეთ სსსსკ-ი გირაოს თანხის მინიმალურ ოდენობად ადგენს 1 000 ლარს, რაც ვფიქრობთ, რომ არასწორია. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ კანონმდებელმა უნდა გააუქმოს აღნიშნული ჩანაწერი და გირაოს თანხის განსაზღვრა მოხდეს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველგვარი კანონისმიერი შეზღუდვის გარეშე, ისევე როგორც ეს ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შემთხვევაში.

<sup>53</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 581.

<sup>54</sup>ჯორბენაძე ო., გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1(57)<sup>18</sup>.

<sup>55</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება N1გ/895-17.

### 2.3. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებათა მსუბუქ შეზღუდვას და მისი გამოყენება შესაძლებელია იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

აღკვეთის ღონისძიების ეს სახე ზღუდავს ბრალდებულის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას. ბრალდებულს ეკრძალება საცხოვრებელი ადგილის დატოვება უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე. აღსანიშნავია ის, რომ „საცხოვრებელი ადგილი“ გულისხმობს არა იმ ბინასა თუ სახლს, სადაც ბრალდებული ცხოვრობს, არამედ იმ დასახლებულ პუნქტს, რომელიც ბრალდებულს მითითებული აქვს საცხოვრებელ ადგილად<sup>56</sup>.

როგორც აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების სახელწოდება ცხადყოფს, მისი არსი გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიიდან ბრალდებულის გაუსვლელობას, არამედ ითვალისწინებს მის სათანადო ქცევასაც. მიუხედავად იმისა, რომ სსსსკ-ის 202-ე მუხლი არ განმარტავს ამგვარი ქცევის შინაარსს, ვფიქრობ, უდავოა ის ფაქტი, რომ სათანადო ქცევა გულისხმობს ბრალდებულის იმგვარ ქცევას, როდესაც მისი მხრიდან ადგილი არ აქვს მიმალვას, მოწმეებზე ზემოქმედებას, მტკიცებულებების განადგურებას, დანაშაულის ჩადენას ან სხვა დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ გირაოს გარდა სხვა არასაპატიმრო ღონისძიებების და მათ შორის განსახილველი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელი

---

<sup>56</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 583.

ძალიან დაბალია<sup>57</sup>. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის მიზეზი უკავშირდება კანონისმიერ დათქმას, რომლის თანახმად, მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ დანაშაულთა საქმეებზე რომლის ჩადენისთვისაც სანქცია არ აღემატება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ კანონის აღნიშნული ჩანაწერი უნდა მოიხსნას და მისი გამოყენება დასაშვები იქნეს როგორც ნაკლებად მძიმე, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზე.

#### 2.4. პირადი თავდებობა

განსახილველი აღკვეთის ღონისძიების სახე მიზნად ისახავს, სანდო პირების<sup>58</sup> მიერ მეთვალყურეობის განხორციელების გზით, ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფას. მის გამოსაყენებლად აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: თავდები პირის/პირების წერილობითი თანხმობა; ბრალდებულის თანხმობა, როგორც კონკრეტული პირის/პირების თავდებობაზე, ასევე, ამ ღონისძიების გამოყენებაზე.

პირადი თავდებობის გამოყენების დროს, თავდები კისრულობს წერილობით ვალდებულებას ბრალდებულის სათანადო ქცევაზე და მის დროულ გამოცხადებაზე პროკურორთან, გამომძიებელთან და სასამართლოში. ვალდებულის შეუსრულებლობა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 100 დან 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმით<sup>59</sup>. თავდების პასუხისმგებლობაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონი ითვალისწინებს თავდების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ნაკისრი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის შემდეგ შემთხვევებში: როდესაც არსებობს დაუძლეველი ძალა; ასევე თავდების უფლება-მოვალეობების განმარტების ამსახველი ხელწერილის საქმეში არარსებობის<sup>60</sup> შემთხვევა და ბოლოს, თავდების პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველია - მისი უარი ნაკისრი მოვალეობის შესრულებაზე, იმ საფუძველის გამოვლენამდე, რაც მისი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

<sup>57</sup><http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-8.pdf> [15.07.2020].

<sup>58</sup>სანდო პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი, როგორც ბრალდებულთან დაახლოებული პირი, ასევე საყოველთაოდ ცნობილი პირი, საზოგადო მოღვაწე და ა.შ.

<sup>59</sup>სსსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>60</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 585.

მნიშვნელოვანი დეტალი გახლავთ ის, რომ თუ თავდების უარს მოკლე ხანში მოყვება ბრალდებულის არასათანადო ქცევა, ეს არ გამოიწვევს მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. შესაბამისად, თავდების მიერ, მოვალეობის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თავდები ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ბრალდებულის მიმართ აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენებამდე<sup>61</sup>.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენების მაჩვენებელიც ძალიან დაბალია, რაც ვფიქრობთ, განპირობებულია ორი ფაქტორით, ერთის მხრივ, უნდა აღვნიშნოს, რომ სპეციფიკური ღონისძიებაა, გარკვეული რისკია მისი გამოყენება რადგან რთულია ფლობდე სრულყოფილ ინფორმაციას თავდების მიმართ, გქონდეს ინფორმაცია მისი პასუხისმგებლობის გრძნობის, კანონმორჩილი ხასიათის და მისი დამოკიდებულებების მიმართ . გარდა აღნიშნული ვფიქრობთ, რომ მისი გამოყენების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ დაცვის მხარე იშვიათად შუამდგომლობს მის გამოყენებას ან/და შუამდგომლობს დაუსაბუთებლად<sup>62</sup>. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი მივიჩნევთ, რომ დაცვის მხარე მეტი გულისხმიერებით უნდა მოეკიდოს აღნიშნული ღონისძიების გამოყენებას და წარადგინოს სარწმუნო ინფორმაცია თავდები პირის მიმართ.

## 2.5. სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ითვალისწინებს ბრალდებულის გადაცემას სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში, რაც გულისხმობს შეიარაღებული წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში

---

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყვირალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 12.

გამოცხადების უზრუნველსაყოფად<sup>63</sup>. აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებას მართალია ჰყავს სპეციალური სუბიექტები (მისი გამოყენება ხდება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე), თუმცა იგი არ წარმოადგენს სპეციალური აღკვეთის ღონისძიების სახეს და პროკურორი/სასამართლო უფლებამოსილი არიან ბრალდებულის მიმართ იშუამდგომლონ/გამოიყენონ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები<sup>64</sup>. სსსსკ-ის 204-ე მუხლის მე-3 ნაწილი ბრალდებულის მიმართ აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს. კერძოდ, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში, ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად ან სხვა პასუხსაგებ განწესში; მშვიდობიან დროში, ბრალდებულს უნდა ჩამოერთვას იარაღის ტარების უფლება; ბრალდებული არ უნდა გაიგზავნოს სამხედრო ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ; და ბოლოს, ბრალდებული არ უნდა განთავისუფლდეს ნაწილიდან და უნდა იმყოფებოდეს სამხედრო მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში. ეს უკანასკნელი შეზღუდვა გულისხმობს იმას, რომ ბრალდებული მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამხედრო ნაწილში, არ უნდა დატოვოს ეს სივრცე და უნდა იყოს სრულად იზოლირებული გარე სამყაროსგან, რაც გვამლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბრალდებულის გადაადგილების თავისუფლება იდენტურია პატიმრობაში მყოფი პირის მდგომარეობასთან<sup>65</sup>, რაც დაუშვებელია, ვინაიდან პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა და მასთან შედარებით სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის გამოყენების სტანდარტი უფრო დაბალია<sup>66</sup>. ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს მისი გამოყენების დაბალ მაჩვენებელს, რადგან აღკვეთის ღონისძიების ეს კონკრეტული სახე არ წარმოადგენს პატიმრობის კარგ ალტერნატივას.

როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებულის მეთვალყურეობას ახორციელებს სამხედრო მეთაური/უფროსი, რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ. ბრალდებულის მხრიდან კი აღკვეთის ღონისძიების

---

<sup>63</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

<sup>64</sup>ნიპარიშვილი ბ., აღკვეთის ღონისძიების - სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“N2(58)<sup>18</sup>.

<sup>65</sup>ნიპარიშვილი ბ., აღკვეთის ღონისძიების - სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“N2(58)<sup>18</sup>.

<sup>66</sup>იქვე.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ გამოყენებულ იქნეს უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება<sup>67</sup>.

---

<sup>67</sup>სსსსკ-ის 204-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

## 2.6. არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა

მოგეხსენებათ, რომ საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, შეიქმნა არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვნებზე მორგებულ მართლმსაჯულებას, წარმოადგენს მათი უფლებების ეფექტური განხორციელების გარანტიას არასრულწლოვანთა ინდივიდუალური განვითარებისა და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით<sup>68</sup>.

არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი (აღნიშნული კანონის გამოყენება ხდება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის პროცესში მონაწილეობის შემთხვევაშიც, თუმცა კვლევის საგანი მათთან კავშირში არ არის და ნაკლები ყურადღება იქნება გამახვილებული)<sup>69</sup>. შესაბამისად, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანი პირის მიერ, გამოძიების მიმდინარეობა, საქმის სასამართლოში განხილვა და შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აღკვეთის ღონისძიებების სახეებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთან მართლმსაჯულების კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მათ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ შეესაბამება სსსსკ-ის გათვალისწინებულ სახეებს, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ითვალისწინებს ერთ დამატებ სახეს, როგორცაა - მეთვალყურეობაში გადაცემა<sup>70</sup>.

აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენების პირობებში ხდება არასრულწლოვნის გადაცემა მისი მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში იმ მიზნით, რომ აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვნის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება. ხელწერილის ჩამორთმევისას კი აუცილებელია რომ პირმა, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანს, იცოდეს არასრულწლოვნისთვის წაყენებული ბრალდებისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა და პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 100 -

<sup>68</sup> <<https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf>> [20.07.2020].

<sup>69</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>70</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-ე მუხლი.



დან 500 ლარამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიკვეთება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული.

აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს არასრულწლოვნისა და იმ პირის თანხმობა, რომელსაც გადაეცემა არასრულწლოვანი მეთვალყურეობაში. ამ უკანასკნელს კანონი ანიჭებს უფლებას ნებისმიერ დროს თქვა უარი მეთვალყურეობაზემ თუ მიიჩნევს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს არასრულწლოვნის სათანადო ქცევა.

### III თავი. აღკვეთის ღონისძიების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები

ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ, ინიშნება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა, სადაც სხვადასხვა საკითხებთან<sup>71</sup> ერთად განიხილება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაასაბუთებს, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) და ფორმალური (საპროცესო) საფუძველი. მანამ, სანამ თითოეულ მათგანს განვიხილავთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრალდების მხარემ კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს ორივე საფუძვლის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რადგან ერთ-ერთი მათგანის არარსებობა შუამდგომლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

გარდა ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობის მტკიცებისა, სსსსკ-ის 198 - ე მუხლის მე-3 ნაწილით, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს დასაბუთება მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობასთან დაკავშირებით.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე მსჯელობის შემდეგ კი მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება<sup>72</sup>, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეულ იქნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, მოსამართლე ვალდებულია, რომ შეარჩიოს აღკვეთის ღონისძიების ისეთი სახე, რომელიც იქნება ჩადენილი ქმედების პროპორციული<sup>73</sup>.

<sup>71</sup>სსსსკ-ის 197-ე მუხლის 1 ნაწილი.

<sup>72</sup>სსსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>73</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის N1გ-714-14 განჩინება.

### 3.1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი არსებობს მაშინ, როდესაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა განსახორციელებლად და სხვა საპროცესო იძულების ღონისძიების გამოსაყენებლად<sup>74</sup>. შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი წარმოადგენს მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც პროკურორს ანიჭებს შესაძლებლობას პირი ცნოს ბრალდებულად, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის ნებართვის მისაღებად, რომლებიც ზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებებს<sup>75</sup>. ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნამდე, ბრალდების მხარემ სრულყოფილად უნდა მოიძიოს მტკიცებულებები დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან მიმართებაში<sup>76</sup>.

შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენამდე, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, უნდა არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი საფუძველი. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი კი როგორც აღვნიშნეთ არსებობს მაშინ, როდესაც წარმოდგენილია ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემულის სიხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა<sup>77</sup>.

აღნიშნული უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში „ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ აღნიშნულია, რომ აუცილებელია არსებობდეს დანაშაულის ჩადენის შესახებ „საფუძვლიანი ეჭვი“, რომელიც გულისხმობს გარკვეული ფაქტების ან ინფორმაციის ქონას, რომლის საფუძველზეც ობიექტური პირი ჩათვლიდა, რომ

<sup>74</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 32.

<sup>75</sup>იქვე.

<sup>76</sup>იქვე, 559.

<sup>77</sup>სსსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

პირს შესაძლოა ჩადენილი აქვს დანაშაული, ხოლო ის რა შეიძლება ჩაითვალოს საფუძვლიანად დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ გარემოებებზე<sup>78</sup>.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემყარება დასაბუთებულ ვარაუდს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ინფორმაცია იმ გარემოებებზე, რომელიც პირს ობიექტურად აკავშირებს დანაშაულის ფაქტთან, ამისთვის კი უნდა არსებობდეს მტკიცებულებათა ერთობლიობა<sup>79</sup>, სისხლის სამართლის საქმეში უნდა იყოს მაგ: მოწმეთა ჩვენებები, საგამომიებო მოქმედებების ჩატარების ოქმები, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები და ა.შ. თუ საქმეში არ არსებობს არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება და ძირითადი მოწმე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ცხადია, რომ მტკიცებულებითი სტანდარტი არ არსებობს და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობის გამო.

მოკლედ, რომ ვთქვათ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება უნდა ემყარებოდეს არა გრძნობებს, დაუსაბუთებელ ეჭვებს, ინსტიქტებსა და შეხედულებებს, არამედ რეალურად არსებულ, მყარ და სარწმუნო მტკიცებულებებს.

---

<sup>78</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პარ. 32.

<sup>79</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 559.

### 3.2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი

ფორმალური (საპროცესო) საფუძველი გულისხმობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებას, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში რეალურად არსებობს: ბრალდებულის მიმალვის, სასამართლოში არგამოცხადების, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე<sup>80</sup>. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად აუცილებელია ჩამოთვლილი საპროცესო საფუძვლებიდან მინიმუმ ერთის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირს არ უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე<sup>81</sup>.

ფორმალური საფუძვლების არსებობა ერთნაირად სავალდებულოა, როგორც პატიმრობის, ისე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს<sup>82</sup>. განსხვავება მხოლოდ იმაშია რა ხარისხისაა ვარაუდი, ბრალდებულის მიერ ამ ქმედებათა ჩადენის. რაც უფრო რეალურია საფრთხე, რომ ბრალდებული განახორციელებს ჩამოთვლილი საფრთხეებიდან ერთ-ერთს, მით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და პირიქით<sup>83</sup>.

ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული საფუძვლის არსებობა გამყარებული უნდა იქნეს დამაჯერებელი და სარწმუნო ინფორმაციით და არა აბსტრაქტულ საფრთხეებზე აპელირებით. მხოლოდ ექვის არსებობა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან ადგილი ექნება მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლას, არ არის საკმარისი ფორმალური საფუძვლების დასაბუთებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მათი არსებობის დადასტურება შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. აღვნიშნავ იმასაც, რომ აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევა დამოკიდებულია არა წინაპირობების რაოდენობაზე, არამედ თითოეული საფრთხის რეალისტრობასა და დასაბუთებულობაზე<sup>84</sup>.

საფრთხეების შეფასებისას მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, მისი ჩადენის ხერხი, საშუალება, არაერთგზისობა, ჯგუფურობა, დანაშაულის მასშტაბი, მიყენებული ზიანის სახე, ოდენობა<sup>85</sup>, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, პიროვნების პირადი და სოციალურ გარემოებები. კერძოდ, მისი

<sup>80</sup>სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>81</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის N1გ/945-17 განჩინება.

<sup>82</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 01 ივლისის N1/გ-621 განჩინება.

<sup>83</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის N1გ/1923-15 განჩინება,

<sup>84</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 560.

<sup>85</sup>იქვე, 568.

საზოგადოებრივი კავშირები, ბრალდებულის ქცევა<sup>86</sup> და ა.შ. თითოეული მათგანი ერთობლიობაში, საქმის სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც რისკ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების მართლზომიერებაზე<sup>87</sup>.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს უნდა აღვნიშნოთ, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს არა ბრალდებულის დასჯას, არამედ მათი გამოყენება მიმართულია იმისკენ, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთილ იქნეს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება<sup>88</sup>.

როგორც მოგეხსენებათ გამოძიების დასრულებისა და წინასასამართლო სხდომის გამართვის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცემა სასამართლოს. სასამართლოში საქმის განხილვის სხდომები გარკვეული პერიოდულობით ინიშნება და მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი გაიმართოს ბრალდებულის მონაწილეობით. ეს მნიშვნელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ბრალდებულმა სრულყოფილად შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა, ადგილი არ ჰქონდეს მართლმსაჯულების გაჭიანურებასა და სასამართლოს ჰქონდეს შესაძლებლობა მოისმინოს, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის პოზიციები და შეექმნას სრულყოფილი წარმოდგენა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების შესახებ. სწორედ ბრალდებულის სასამართლო პროცესებზე დასწრებასა და მონაწილეობას ემსახურება აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი მიზანი.

რაც შეეხება დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრალდებულის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ახალი დანაშაულის ჩადენის ფაქტს. მართალია იმის წინასწარ განჭვრეტა აღნიშნულს ექნება თუ არა ადგილი შეუძლებელია, მაგრამ თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ არსებობს დასაბუთებული მოლოდინი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, გამოყენებულ უნდა იქნეს აღკვეთის ღონისძიება იმ მიზნით, რომ აღკვეთოს ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება.

სსსსკ - ი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კიდევ ერთ მიზნად ასახელებს განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფას. შესაბამისად, აღკვეთის

---

<sup>86</sup>ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მიღებული 2006 წლის 27 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 974-ე სხდომაზე.

<sup>87</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის N1გ-714-14 განჩინება.

<sup>88</sup>სსსსკ-ის 198-ე მუხლის 1 ნაწილი.

ღონისძიების გამოყენება ავადროულად წარმოადგენს განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებას.

არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ თითოეული საფუძვლისა თუ მიზნის in abstracto გამოყენება აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას დაუშვებელია და უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს<sup>89</sup>. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის ანალიზი, ხდება თუ არა აღკვეთის ღონისძიების თითოეული საფუძვლის დასაბუთება, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და რა ფაქტობრივ გარემოებებზე აპელირებით ასაბუთებს ბრალდების მხარე ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეებს.

### 3.2.1. მიმალვის საფრთხე

მანამ, სანამ დეტალურად განვიხილავდეთ აღნიშნულ საფუძველს უნდა აღვნიშნოთ, რომ შუამდგომლობა ან/და განჩინება, რომელშიც მიმალვის საფრთხე დასაბუთებულია შაბლონურად, ისე რომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით არ არის დადასტურებული ბრალდებულის განზრახვა - მიმალვის თაობაზე, წინააღმდეგობაში მოდის როგორც სსსსკ-ის, ასევე, ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებთან. შესაბამისად, თუ მიმალვის საფრთხის არსებობა სარწმუნო, დამაჯერებელი გარემოებებით ვერ დასტურდება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ვერ პასუხობს სსსსკ-ის მოთხოვნებს და დაუსაბუთებელია. მიმალვის საფრთხის არსებობის დადასტურდება მხოლოდ

---

<sup>89</sup>მჭედლიძე ნ., საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, 55.

სუბიექტური ეჭვის საფუძველზე მიუღებელია, ვინაიდან მისი არსებობა უნდა იყოს იდენტიფიცირებადი და რეალური.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში დავესწარიტ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის არაერთ სხდომას, სადაც ბრალდების მხარე მიმალვის საფრთხის დასაბუთებას ძირითად შემთხვევაში ახდენდა მოსალოდნელი სასჯელის შიშზე აპელირებით, რაც უდავოდ არასწორია. ბრალდების მხარე არ უზრუნველყოფდა სხვა არც ერთი ფაქტობრივი გარემოების წარმოდგენას, რომელიც დაადასტურებდა მიმალვის განზრახვის არსებობას. განსაკუთრებით პრობლემური ეს მიდგომა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს<sup>90</sup>, რომლის ჩადენისთვისაც სანქცია არ არის მკაცრი და თავისუფლების აღკვეთასთან ერთად გათვალისწინებულია სხვა ალტერნატიული სასჯელებიც. მოსალოდნელი სასჯელის შიში მართლაც გასათვალისწინებელი ფაქტორია საფრთხის შესაფასებლად, მაგრამ მისი მტკიცება მხოლოდ ეჭვის დონეზე გაუმართლებელია მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს<sup>91</sup>. შესაბამისად, მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე მითითება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს რელევანტურ საფუძვლად მიმალვის საფრთხის შესაფასებლად<sup>92</sup>. იგივე მსჯელობაა სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც ნათქვამია, რომ მხოლოდ იმის დეკლარირება, რომ ბრალდება ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რაც ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს და ამის გამო ბრალდებული მიიმალება დაუსაბუთებელია და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს<sup>93</sup>.

დასკვნის სახით, რომ ვთქვათ მართლმსაჯულებისგან დამალვის საფრთხე არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის საფუძველზე, არამედ გაანალიზებული უნდა იქნეს მთელი რიგი დამატებითი ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება დაადასტუროს მსგავსი საფრთხის არსებობა ან აღმოჩნდეს, რომ ეს ფაქტორები არ ამართლებს პატიმრობის შეფარდებას საქმის განხილვის პროცესში<sup>94</sup>.

---

<sup>90</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის 1გ/945-17 განჩინება.

<sup>91</sup>მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 201, 64.

<sup>92</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2019 წლის 08 ნოემბრის N1გ/1866-19 განჩინება.

<sup>93</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის N1გ/1282 განჩინება, იხ. ციტირება: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 597.

<sup>94</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 102.



ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას ბრალის სიმძიმესა და მოსალოდნელის სასჯელის სიმკაცრესთან ერთად მიეთითოს დამატებითი გარემოებები, რომლებიც დაადასტურებს ბრალდებულის განზრახვას. ეს გარემოებები შეიძლება იყოს მაგ: ბრალდებულის ხასიათი, სტატუსი, პასუხისმგებლობის გრძნობა, საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის ხარისხი,<sup>95</sup> ბრალდებულად ცნობის შემდეგ, უძრავ-მოდრავი ქონების გაყიდვა, სამსახურიდან წამოსვლა, საბანკო ანგარიშებიდან თანხის გატანა<sup>96</sup>. მიმალვის საფრთხე შეიძლება დასაბუთდეს მაშინაც, როდესაც ადგილი აქვს დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს, გაქცევის მცდელობას, ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევას, გაქცევის გეგმის კონკრეტულად იდენტიფიცირებადი ნიშნების არსებობას<sup>97</sup>, გამომიების ორგანოში არაერთგზის გამოუცხადებლობას<sup>98</sup>. მიმალვის საფრთხე არსებობს მაშინაც, როდესაც ბრალდებულის ვინაობა დაუდგენელია ან/და არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი<sup>99</sup>.

მიმალვის საფრთხის რეალურობა მინიმუმამდეა შემცირებული მაშინ, როდესაც ბრალდებული დაბარებისთანავე ცხადდება შესაბამის ორგანოში და აღიარებს ბრალს. ასეთ შემთხვევაში მიმალვის საფრთხე აპელირება არალევენტურია. მიმალვის საფრთხე შემცირებულია მაშინაც, როდესაც ბრალდებული არ არის ნასამართლევ, აქვს მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი და აქვს სტაბილური ცხოვრების წესი<sup>100</sup>.

აღსანიშნავია ის, რომ როდესაც მიმალვაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას, თუმცა ბრალდებულის მხრიდან მიმალვის მცდელობას სახელმწიფოს ტერიტორიაზეც შესაძლოა ჰქონდეს ადგილი, თუმცა ამის ინტენსივობა ნაკლებია, ამიტომ მიმალვის საფრთხე, როგორც წესი ასოცირდება პირის მიერ სახელმწიფოს საზღვრის დატოვებასთან<sup>101</sup>. შესაბამისად, როდესაც მიმალვის საფრთხის დასაბუთება ხდება მიშენელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ. ქვეყნის გარეთ ახლობლების ყოლა და უძრავ-მოდრავი ქონების არსებობა ვარგისი ფაქტებია საფრთხის დასაბუთებისთვის<sup>102</sup>. ამ მხრივ მნიშვნელოვანია

<sup>95</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 603.

<sup>96</sup>იქვე, 563.

<sup>97</sup>იქვე, 597.

<sup>98</sup>იქვე.

<sup>99</sup>იქვე.

<sup>100</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, „მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ“, პარ.76.

<sup>101</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, გვ. 597.

<sup>102</sup>იქვე, 594.

ბრალდებულის მოქალაქეობის საკითხიც. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ ბრალდებულის სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის გარეთ არსებობა ამართლებდა პირის პატიმრობაში დატოვების საკითხს<sup>103</sup>, თუმცა აღნიშნული მიდგომისგან განსხვავებულ პოზიცია იქნა დაფიქსირებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში<sup>104</sup>, სადაც ნათქვამია, რომ თუ პირი არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც მან სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული, ან ის, რომ ამ ქვეყანასთან მას სხვა კავშირები არ გააჩნია, არ უნდა ჩაითვალოს საკმარის მიზეზად დასკვნისთვის, რომ ის თავს აარიდებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას. მართლაც, სხვა ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილების ფაქტი, არ გამორიცხავს, მაგრამ არც ადასტურებს მიმალვის საფრთხეს<sup>105</sup>. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ კავშირების ქონა მნიშვნელოვანი გარემოებაა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფაქტორი აადვილებს ბრალდებულის მიმალვას.

მიმალვის საფრთხეს ზრდის ის გარემოება, რომ ბრალდებული სარგებლობს სხვადასხვა პირადობის მოწმობით ან სხვადასხვა პირადი ნომრით<sup>106</sup>.

მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას ყურადღება უნდა მიექცეს ასევე, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეუძლია თუ არა მას ტრანსპორტირება და საზღვარზე გადასვლა<sup>107</sup>, მართლაც, თუ ბრალდებულს აქვს ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რაც ხელს უშლის მის თავისუფალ მიმოსვლას, მიმალვის საფრთხე თითქმის არ არსებობს.

მიმალვის საფრთხე მცირდება მაშინაც, როდესაც ბრალდებულს საქართველოში ჰყავს ოჯახი, წარმოადგენს ოჯახის ერთადერთ ან ძირითად მარჩენალს, აქვს ქონება, საკუთრება და გარკვეული სამეწარმეო ინტერესი.<sup>108</sup>

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მიმალვის საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს, განხილულ იქნეს მიმალვასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორი და გარემოება. არ შეიძლება საფრთხე დადგენილ იქნეს დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე<sup>109</sup>.

<sup>103</sup>სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქმეზე „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2015 წლის 30 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი N646.

<sup>104</sup>აღნიშნული რეკომენდაცია მიღებულ იქნა 2006 წლის 27 სექტემბერს.

<sup>105</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 594.

<sup>106</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის N1გ-714-14 განჩინება.

<sup>107</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 595.

<sup>108</sup>იქვე, 594.

<sup>109</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „ ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 71.

მართალია შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა ბრალდებულს აქვს თუ არა განზრახული მიმალვა, თუმცა დასახელებული გარემოებების არსებობა და შუამდგომლობაში მითითება დაეხმარება ბრალდების მხარეს შეაფასოს მიმალვის შესაძლებლობის არსებობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ჩვენ მიერ ჩამოთვლილი გარემოებების არსებობა და მიმალვის საფრთხის რეალურად არსებობა არ უნდა იყოს ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, რადგან მიმალვის საფრთხის განეიტრალება შესაძლებელია ისეთი დამატებითი ღონისძიებების გამოყენებითაც, როგორცაა: გარკვეულ დროსა და ადგილას მისვლის აკრძალვა, პირადობის მოწმობის, პასპორტის ჩაბარება და ა.შ ასე, რომ პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

### 3.2.2. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე შეიძლება გამოიხატებოდეს დოკუმენტების განადგურებაში ან თანამონაწილეებსა თუ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენაში<sup>110</sup>. მტკიცებულებათა განადგურების განხორციელება შესაძლებელია, როგორც მათი ფიზიკურად მოსპობით, ასევე მასზე არსებული ნიშან-თვისებების გამოცვლის, მასზე არსებული კვალის წაშლის გზით<sup>111</sup>. მტკიცებულებათა განადგურება სახეზეა მაშინ, როდესაც მაგ: ბრალდებული დაკავებისას შეეცადა იარილის/ნარკოტიკული ნივთიერების გადაგდებას/გადაყლაპვას, გაანადგურა ტანსაცმელი, რომელიც ეცვა დანაშაულის ჩადენის დროს, მორეცხა სისხლის კვალი, დაწვა შემთხვევის ადგილი და ა.შ

მტკიცებულებათა განადგურების ისევე, როგორც სხვა საფრთხეების არსებობის დასაბუთებისას მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული

<sup>110</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 597.

<sup>111</sup>იქვე, 598.

ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაასაბუთებს განსახილველი საფრთხის რეალურად არსებობას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამოძიების/სასამართლო განხილვის მიმდინარეობა, ბრალდებულის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, ასევე, სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რაც გაამყარებს შიშს, რომ მას ობიექტურად შეუძლია ბოროტად გამოიყენოს თავისუფლება მტკიცებულებათა განადგურებისა და გაყალბების მიზნებისთვის<sup>112</sup>.

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობა პრაქტიკულად გამორიცხულია მაშინ, როდესაც ბრალდებულისთვის ცნობილია მის მიმართ წარმოებული გამოძიების შესახებ, თუმცა მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია მტკიცებულებათა მოპოვების ხელშეშლას, და პირიქით, დაეხმარა გამოძიებას ამათუიმ ინფორმაციის მოპოვებაში, მაგრამ პირიქითაა საქმე მაშინ, როდესაც ბრალდებული ცდილობს დამალოს ან გაანადგუროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები.

მტკიცებულებათა განადგურების მტკიცება გაცილებით მარტივია ბრალდებულის სამსახურეობრივ მდგომარეობაზე აპელირებით<sup>113</sup>, თუ მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილებები შესაძლებლობას იძლევა, რომ მარტივად მოხდეს მტკიცებულებათა თავიდან მოშორება. ეს ეხება არა მხოლოდ საჯარო მოხელეებს, არამედ ნებისმიერ პირს, რომელიც სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადის დანაშაულს, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენად არის შესაძლებელი საფრთხის განეიტრალება ბრალდებულის სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებიდან ჩამოშორების გზით<sup>114</sup>. თუ მისი თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში პრაქტიკულად გამორიცხულია ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებებზე ზემოქმედება, მაშინ აღნიშნულ საფრთხეზე აპელირება საფუძველს მოკლებულია.

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე მატულობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა თანამონაწილეობით ჩადენილი ჯგუფური დანაშაული და ბრალი წაყენებული აქვს მხოლოდ მათ ნაწილს<sup>115</sup>, დანარჩენები კი არიან თავისუფლების პირობებში და მათი ადგილსამყოფელი უცნობია. ასეთ შემთხვევაში საფრთხე საკმაოდ რეალურია, რადგან დაუდგენელი პირები

---

<sup>112</sup>ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, "Aleksandr Makarov v. Russia" პარ. 130. იხ. ციტირება: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 599.

<sup>113</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, .598.

<sup>114</sup>იქვე.

<sup>115</sup>იქვე, 598.

შესაძლოა შეთანხმდნენ საერთო სტრატეგიაზე და შეეცადონ მტკიცებულებათა განადგურებას.

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეზე აპელირებისას ბრალდების მხარე ხშირად შემოიფარგლება იმის მტკიცებით, რომ საქმეზე ჩასატარებელია მთელი რიგი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები და ბრალდებულის მხრიდან აღნიშნული მტკიცებულებების განადგურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რა ოდენობის მტკიცებულებების მოპოვება მოხდა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომამდე. უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული საკმაოდ ყურადსაღები არგუმენტია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღკვეთის ღონისძიებების სხდომის შემდეგ მოსაპოვებელია მთელი რიგი მტკიცებულებები, გამოსაკითხია მნიშვნელოვანი მოწმეები, დასადგენია თანამონაწილეთა ვინაობა, გამოძიებას არ აქვს ამოღებული დანაშაულის საგანი, იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება<sup>116</sup> და ა.შ., მაგრამ თუ ბრალდებულის პირველი წარდგენისას თითქმის დასრულებულია გამოძიება და მოპოვებულია მტკიცებულებათა მნიშვნელოვანი ოდენობა, ან/და თუ ბრალდებულისთვის დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი გამომძიების მიმდინარეობის შესახებ, თუმცა მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია მტკიცებულებათა განადგურების მცდელობას, ასეთ შემთხვევაში საფრთხე მინიმუმამდეა შემცირებული და დაუსაბუთებელია.

მოკლედ, რომ ვთქვათ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეზე მსჯელობისას, უპრიანია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: პროცესის მონაწილეებთან კავშირი; თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში თანამზრახველთა შორის შეთანხმების საშიშროება.

პროცესის მონაწილეებთან კავშირი მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ბრალდებულს ნათესაური/მეგობრული/სამსახურეობრივი დამოკიდებულება გააჩნია მოწმეებთან. მჭიდრო ურთიერთობაშია მათთან ან კონფლიქტური სიტუაცია არსებობს მათ შორის. ამ შემთხვევაში მატულობს მათზე ზემოქმედების საფრთხე, თუმცა აღნიშნული ფაქტის არსებობა ცალსახად არ მეტყველებს ზემოქმედების მოხდენის საფრთხეზე, სახეზე უნდა იყოს ზემოქმედების კონკრეტული ფაქტები ანდა ბრალდებულის ქცევა უნდა იყოს განმაპირობებელი ფაქტორი იმის მტკიცებისა, რომ ზემოქმედების მოხდენის საშიშროების ალბათობა ძალიან მაღალია.

---

<sup>116</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 601.

### 3.2.2.1. მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე

მოწმეებზე ზემოქმედება შესაძლოა განხორციელდეს ორი მიზნით: მოწმემ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ან მოწმის მისცეს ბრალდებულის სასარგებლო, მის ინტერესებზე მორგებული ჩვენება რაც გამორიცხავს ბრალდებულის მიზანს, მოტივს, ბრალს ან მის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში<sup>117</sup>. მოწმეზე ზემოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებებით. ეს შეიძლება იყოს მუქარა, დაშინება, გარკვეული დაპირების მიცემა და ა.შ

როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული საფრთხე ყურადღებას იქცევს მაშინ, როდესაც სახეზეა ბრალდებულსა და მოწმეს/დაზარალებულს შორის არსებული კავშირი. ეს გულისხმობს, როგორც ახლო ურთიერთობას, ასევე მათ შორის არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას. ასეთ შემთხვევაში მაღალია პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე, მაგრამ ბრალდების მხარეს ეკისრება აღნიშნული საფრთხის რეალურობის მტკიცების ვალდებულება, რისთვისაც შუამდგომლობაში მითითებულ უნდა იქნეს მოწმეზე ზემოქმედების კონკრეტული ფაქტები გამყარებული მტკიცებულებებით (ეს შეიძლება მოწმის გამოკითხვის ოქმი, ტელეფონზე მიღებული შეტყობინება, ოპერატიული ინფორმაცია და ა.შ), მაგრამ თუ ამგვარი არ მოიპოვება, მაშინ ბრალდების მხარეს შეუძლია აღნიშნული საფრთხის არსებობის მტკიცება ბრალდებულის წინარე ქმედებებზე აპელირებით<sup>118</sup>. შუამდგომლობაში ასევე მითითებულ უნდა იქნეს რა ბერკეტი გააჩნია ბრალდებულს ზემოქმედების განსახორციელებლად. იქნება ეს ინტელექტუალური უნარები, ავტორიტეტი, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა თუ სხვა<sup>119</sup>. საქმეში მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ დადასტურებულია მოწმეებთან კავშირის მნიშვნელობა. კერძოდ, ნათქვამია, რომ ვინაიდან ბრალდებულის მეგობრები იყვნენ ძირითადი მოწმეები მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში, უნარი ბრალდებულს გავლენა მოეხდინა მოწმეებზე არ შეიძლება გამოირიცხოს და შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს მსგავსი რისკის არსებობა<sup>120</sup>. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აღნიშნულ მიდგომას, მაგრამ მხოლოდ მეგობრული კავშირის არსებობა თუ არ დასტურდება ზემოქმედების მოხდენის რეალურობა, არ

<sup>117</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 599.

<sup>118</sup>იქვე.

<sup>119</sup>იქვე, 600.

<sup>120</sup>იხ. აღნიშნული გადაწყვეტილება, პარ.102.

წარმოადგენს ვარგის არგუმენტს საფრთხის დასასაბუთებლად. კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე აპელირების გარეშე, მხოლოდ მეგობრული ან სხვა სახის კავშირის არსებობაზე მითითებული, ხაზს უსვამს საფრთხის აბსტრაქტულობას. მოკლედ, რომ ვთქვათ, მოწმესთან რაიმე კავშირის არსებობა, ან მისი დემოგრაფიული მონაცემების ცნობა, არ არის საკმარისი.

სამწუხარო ფაქტია ის, რომ პრაქტიკაში ბრალდების მხარე მოწმეზე ზემოქმედებას ძირითადად შემდეგი ფორმულირებით ასაბუთებს „საქმეში ძირითადი მოწმეები არიან ბრალდებულის ახლო ნათესავები/ოჯახის წევრები/მეგობრები დასაკითხი არიან რიგი მოწმეები, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ამიტომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე ბრალდებული შესაძლოა შეეცადოს მათზე ზემოქმედებას“. ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ ამგვარი დასაბუთება შაბლონურია, ეფუძნება მხოლოდ აბსტრაქტულ ეჭვებს და ამგვარი ეჭვების საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს, რომ მოწმეზე ზემოქმედების საფრთხის მტკიცებისას უნდა დაკონკრეტდეს რომელი ფაქტორები ზრდის მოწმეზე ზემოქმედების მოხდენის რისკებს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულისა და მოწმის/დაზარალებულის ურთიერთობის ხარისხი, მათ შორის არსებული კონფლიქტი, იძულების, მუქარის, დაშირების, დაპირების ფაქტი, რა სახის ზეგავლენის მოხდენაა მოსალოდნელი და სხვა არსებითი გარემოებები. აღნიშნული ფაქტორების მითითების გარეშე, მხოლოდ ნაცნობობაზე აპელირებით, სრულად ალოგიკურია მოწმეზე ზემოქმედების საფრთხის რეალურობის მტკიცება.

### 3.2.3. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე<sup>121</sup>, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან დაკავშირებით, მოსამართლემ გააკეთა განმარტება, რომ მომავალში დანაშაულის ჩადენის საფრთხე პირობითი ცნებაა და არავის არ შეუძლია დაბეჯითებით ამტკიცოს, რომ ესა თუ ის პირი მომავალშიც ჩაიდენს დანაშაულს. აღნიშნული მიდგომა სავსებით რეალურია, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითხოვს უტყუარი მტკიცებულებების წარდგენას. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის სსსსკ-ი მოითხოვს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობას. ვარაუდი კი მაშინაა დასაბუთებული, როდესაც ბრალდებულის ქმედებას წინ უსწრებს სხვა რაიმე ისეთი ქმედება, რომელმაც შესაძლოა გააჩინოს ვარაუდი ახალი დანაშაულის ჩადენის. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე შესაძლებელია გამომდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან, მისი წარსულიდან, შერაცხული დანაშაულის ხასიათიდან, დანაშაულებრივი საქმიანობიდან, მიდრეკილებებიდან კონკრეტული დანაშაულის ჩადენისადმი<sup>122</sup>. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ნარკოტიკული საშუალებების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტს, როდესაც აშკარად იკვეთება ბრალდებულის მიდრეკილებები და დიდია ალბათობა იმისა, რომ ის კვლავ განაგრძობს ნარკოტიკული საშუალებებით თრობას.

შესაბამისად, ახალი დანაშაულის ჩადენის შეფასებისას, სასამართლომ უნდა განსაზღვროს რამდენად არის დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე. მაგ: თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის მომზადებაზე ან დაუსრულებელი დანაშაულის დასრულების განზრახვაზე, ან თუ პირს ბრალად ედება რამდენიმე დანაშაულის ან დანაშაულის ცალკეული ეპიზოდების ჩადენა ალბათობა იმისა, რომ ის განაგრძობს დანაშაულის ჩადენას, რა თქმა უნდა, დიდია<sup>123</sup>. შესაბამისად, როდესაც ბრალდების მხარე ასაბუთებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას, უნდა დაასაბუთოს მომავალი დანაშაულის ხასიათი და ლოგიკურ კავშირში იყოს წაყენებულ ბრალთან. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ეხებოდა ოჯახის წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას, ბრალდების მხარემ მოითხოვა პატიმრობა, რაც დაასაბუთა იმით, რომ

<sup>121</sup> ჩვენი დასწრების პირობებში გაიმართა აღნიშნული პროცესი.

<sup>122</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 568.

<sup>123</sup> იქვე, 605.



ბრალდებულის დამოკიდებულება კანონისა და ზოგადად, ჯანმრთელობის დაცვასთან, კუმულაციურად ასაბუთებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური და მომეტებული საფრთხის არსებობას. არგუმენტად კი უთითებდა ბრალდებულის წარსულ ნასამართლობაზე, რომელიც სრულიად განსხვავებული ხასიათის დანაშაული გახლდათ ახალ ბრალდებასთან მიმართებაში. აღნიშნულ საკითხზე სასამართლომ იმსჯელა და დაასაბუთა, რომ წარსულში თვისობრივად განსხვავებული დანაშაულის ჩადენა, ვერ დაასაბუთებდა ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკების არსებობას და ვერ მიანიშნებდა ბრალდებულზე, როგორც ძალადობის ჩადენისკენ მიდრეკილ პიროვნებაზე<sup>124</sup>. აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ წარსულში განსხვავებული კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, ვერ დაასაბუთებს ახლად ჩადენილი სხვა ხასიათის დანაშაულის ჩადენის განმეორების საფრთხეს.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება ბრალდებულის ნასამართლობა და როგორც არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, აღნიშნულ საფრთხეზე აპელირებისას საკმაოდ ქმედითი არგუმენტია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბრალდებულის ნასამართლობები უდავოდ მიუთითებს მის არაკანონმორჩილ ხასიათზე. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ აღნიშნა, რომ პირის წარსული ნასამართლობა ყოველთვის არ მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მაგრამ როდესაც სახეზეა ერთგვაროვანი დანაშაულების რამდენჯერმე ჩადენა, უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკის არსებობა - დასაბუთებულია<sup>125</sup>. შესაბამისად, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ხასიათს. თუ პირს ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ძალადობა ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომლის ხასიათიდან გამომდინარე არსებობს დანაშაულის გაგრძელების ალბათობა, გამოყენებულ უნდა იქნეს არგუმენტად საფრთხის არსებობის დასაბუთებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნასამართლობის ფაქტი საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისას, მაგრამ მხოლოდ ნამასამართლობის არსებობის ფაქტი არ შეიძლება გახდეს საფრთხის დასაბუთების ერთადერთი არგუმენტი. მნიშვნელოვანია ბრალდების მხარემ ბრალდებულის ქმედებებში პარალელი

<sup>124</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის N 1გ/1722-16 განჩინება.

<sup>125</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის N1გ/1199-17 განჩინება.

გაავლოს ძველ და ახალ დანაშაულებს შორის ლოგიკური კავშირის არსებობაზე<sup>126</sup>, გაანალიზოს წინა დანაშაულის ხასიათი, ყურადღება მიაქციოს ბრალდებულის პიროვნულ თვისებებს, მის ხასიათს, მიდრეკილებებს, ძველი დანაშაულის ჩადენიდან გასულ პერიოდს და დაადგინოს ხომ არ არის მოვლენათა განვითარების ისეთი ჯაჭვი, რომელიც ცალსახად მიუთითებს ახალი დანაშაულის ფაქტზე<sup>127</sup>. შესაბამისად, ბრალდებულის ნასამართლობის საფუძველზე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, ვერ გამოვრიცხავთ, თუმცა მხოლოდ ამ ფაქტის არსებობა, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გარეშე საფრთხის დასასაბუთებლად არ არის საკმარისი. ნასამართლობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ წარსულში ჩადენილი დანაშაული განზრახია თუ გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი. იმ შემთხვევაში თუ ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენის ფაქტს, განზრახი დანაშაულის ჩადენის რისკი მინიმუმამდე მცირდება. რაც შეეხება გაქარწყლებულ ნასამართლობას, როგორც წესი ბრალდების მხარე, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის რეალურად არსებობის დასაბუთებისას აპელირებს მასზე, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლო გაქარწყლებულ ნასამართლობას ითვალისწინებს, როგორც პიროვნულ მახასიათებელს.

ახალი დანაშაულის საფრთხის არსებობის დადასტურება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილი აქვს დანაშაულის ჩადენის ფაქტს პირობითი მსჯავრის მოქმედების პირობებში. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველიც გახდეს, რადგან ცალსახაა, რომ ლოიალური მიდგომა არ აღმოჩნდა შემაკავებელი ბრალდებულისთვის.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეების არსებობაზე მსჯელობისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ბრალდებულის სხვა დანაშაულში მხილება, რომლისთვისაც ბრალი წარდგენილი არ აქვს არალეგანტური და აბსტრაქტულია მისი არაკანონმორჩილი ხასიათის დასადასტურებლად, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ ვერ იქნეს მოძიებული საკმარისი მტკიცებულებები და საერთოდ არ მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება<sup>128</sup>.

დასკვნის სახით, რომ ვთქვათ სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ პირის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულის ფაქტი და გაუქარწყლებელი და მოუხსნელი ნასამართლობის არსებობის შემთხვევაში,

---

<sup>126</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015, 602.

<sup>127</sup>იქვე.

<sup>128</sup>იქვე, 562.

ქმედების ხასიათითა და სიმძიმით შეადარონ წარდგენილი ბრალი იმ ქმედებას, რომლისთვისაც პირი ნასამართლევა<sup>129</sup>

---

<sup>129</sup>მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017, 74.

## დასკვნა

არ არსებობს აღკვეთის ღონისძიებების საერთაშორისო დონეზე დადგენილი ჩამონათვალი. თითოეული ქვეყანის კანონმდებლობა თავად განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიებების სახეებს, რომლებიც შეესაბამება მათ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს<sup>130</sup>. მთავარია, რომ თითოეულმა მათგანმა გაითვალისწინოს აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი იმისთვის, რომ მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და ბრალდებულის პიროვნულ თვისებებს შეუსაბამოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. აღნიშნული მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ აღკვეთის ღონისძიებების სახეთა სიმცირემ არ გამოიწვიოს არაპროპორციული ღონისძიებების გამოყენება, რადგან აზრი დაეკარგება პრინციპს, რომ წინასწარი პატიმრობა წარმოადგენს უკიდურესი ზომას<sup>131</sup>.

კანონმდებლობისა და სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად გამოყენებად აღკვეთის ღონისძიებების სახეებს წარმოადგენს: პატიმრობა და გირაო. სხვა ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი მინიმუმამდეა დაყვანილი. ასევე იშვიათია შემთხვევა, როდესაც სასამართლო პირს ტოვებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე, რაც უდავოდ ცუდი ტენდენციაა, რადგან პირისთვის ბრალის წაყენება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. სსსკ-ში გაწერილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და თუ ამ მიღწევა შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გარეშე, მაშინ მისი გამოყენება დაუსაბუთებელია.

როგორც აღვნიშნეთ გირაო პატიმრობასთან ერთად ყველაზე ხშირად გამოყენებადი ღონისძიებაა, რასაც საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე გაუგებრად მივიჩნევთ. საკანონმდებლო ხარვეზად მიგვაჩნია გირაოს მინიმალურ ოდენობად 1 000 ლარის განსაზღვრა, რადგან ქვეყანაში, სადაც საარსებო შემწეობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი, მნიშვნელოვანია აღნიშნული დათქმა გაუქმდეს და მოსამართლეს მიეცეს ფართო დისკრეცია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება. გირაოზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ საპატიმრო გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებიც. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ გირაოს გამოყენების პირობებში განეიტრალებული იქნება ბრალდებულისგან

<sup>130</sup>აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყარალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 57.

<sup>131</sup>იქვე, 65.

მომდინარე საფრთხეები, გაუგებარი მხოლოდ ბრალდებულის დაკავების ფაქტის გამო, თუნდაც მცირე ხნით რატომ უნდა იქნეს გამოყენებული უკიდურესი ზომა პატიმრობის სახით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის გამოყენებას გირაოსთან შედარებით უფრო მაღალი სტანდარტის დასაბუთება სჭირდება?!

გირაოზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი კონკრეტული ოდენობის გამოყენებაზე მსჯელობისას, ბრალდების მხარე არ წარმოადგენს ინფორმაციას ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც მიუღებელია, რადგან ინფორმაციის არქონის შემთხვევაში, დიდია ალბათობა იმისა, რომ მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას გირაოს თანხის არაპროპორციული ოდენობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

არსებული პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ პრობლემატურია პატიმრობის გამოყენების დიდი მაჩვენებელი, რაც ეწინააღმდეგება სსსსკ-ის მოთხოვნებს, სადაც ნათქვამია, რომ პატიმრობის გამოყენებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა ჰქონდეს ადგილი.

დამკვიდრებული პრაქტიკის ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ხშირად ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებში არ არის დასაბუთებული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების მიზანშეუწონლობა, რაც არასწორია, რადგან პროკურორის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს არგუმენტირებული დასაბუთება იმის შესახებ, რატომ ვერ იქნება აღკვეთის ღონისძიების მიზნები მიღწეული მოთხოვნილზე ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში. როგორც წესი ბრალდების მხარე აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი ფორმულირებით „ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ამ კუთხით დასაბუთება შაბლონური და მიუღებელია.

როგორც კვლევის ფარგლებში იქნა განხილული განურჩევლად იმისა, რა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ხდება, პროკურორი ვალდებულია სრულყოფილად დასაბუთოს როგორც მტკიცებულებითი ისე ფორმალური საფუძვლების არსებობა. ხშირად ბრალდების მხარე დასაბუთებისას ყველა ფორმალური საფუძვლის არსებობას უთითებს და არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ რაც უფრო მეტი საფუძვლის მითითება ხდება მით უფრო მაღალი უნდა იყოს დასაბუთების ხარისხი და მეორე, შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს მხოლოდდამხოლოდ ის საფუძველი, რომელიც არსებობს სისხლის სამართლის საქმეში და რეალურია. რეალური საფუძვლების მითითების პრობლემა კი პრაქტიკაში აშკარაა და არის შემთხვევები როდესაც ადგილი აქვს აბსტრაქტულ საფრთხეებზე მსჯელობას. მაგ: მოწმეზე ზემოქმედების ფაქტის დასაბუთება მხოლოდ ბრალდებულსა და მოწმეს შორის არსებული ნაცნობობით, ახალი

დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობის მტკიცება მხოლოდ ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტის გამო, მაშინ როდესაც სრულყოფილად არ არის გამოკვლეული დანაშაულებს შორის კავშირი, მათი ხასიათი, ჩადენის პერიოდულობა და ა.შ როდესაც მიმალვის საფრთხის დასაბუთება მხოლოდ სასჯელის სიმკაცრისა და ბრალდების სიმძიმით დასტურდება მიუღებელია და წარმოადგენს აბსტრაქტულ საფრთხეებზე მსჯელობას. დასაბუთებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგი ტენდენცია შეინიშნება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მოშველიებით, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს დაუსაბუთებელი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შაბლონური დასაბუთებითა და აბსტრაქტულ საფრთხეებზე მსჯელობით. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება უნდა დაექვემდებაროს აუცილებლობის ტესტს, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ სათანადო ფაქტები და არგუმენტები, ღონისძიება უნდა იყოს ქმედითი, სამართლიანი და არ უნდა ახდენდეს გარკვეული ჯგუფების წარმომადგენელთა დისკრიმინაციას<sup>132</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება ამტკიცოს როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლების არსებობა კუმულაციურად, რადგან ერთ-ერთი მათგანის არარსებობა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ფაქტობრივი საფუძველი უკავშირდება მტკიცებულებით სტანდარტს და მისი დასაბუთებისთვის საჭიროა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნამდე და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე ბრალდების მხარემ უნდა უზრუნველყოს სათანო მტკიცებულებების მოპოვება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტთან მიმართებაში. რაც შეეხება ფორმალურ საფუძველებს, როგორც აღვნიშნეთ, პროკურორი გარკვეულ შემთხვევებში არ ახდენს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების დასაბუთებას სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით. განვიხილოთ თითოეული მათგანი და მივუთითოთ რა გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული მათზე მსჯელობისას.

1. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე - მნიშვნელოვანი გარემოებაა ბრალდებულის ნასამართლობა. მართალია წარსულში ჩადენილი დანაშაულის ფაქტი ცალსახად არ წარმოშობს ახალი დანაშაულის

<sup>132</sup>აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყარალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020, 88.

საფრთხეს, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წარსული ქმედების ხასიათი, ჩადენის ხერხი, შედეგი და მოხდეს პარალელის გავლება ამჟამინდელი ქმედების გარემოებებთან. რაც შეეხება გაქარწყლებულ ნასამართლობას, მიზანშეწონილია, რომ მისი გამოყენებით მოხდეს არა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მტკიცება, არამედ გამოყენებულ იქნეს, როგორც ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი;

2. მიმალვის საფრთხე - როგორც აღვნიშნეთ, ბრალდების მხარე უმრავლეს შემთხვევაში მიმალვის საფრთხეს ასაბუთებს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრისა და ბრალდების სიმძიმეზე აპელირებით, რაც მიუღებლად იქნა მიჩნეული არაერთ გადაწყვეტილებაში, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ გარემოებებთან ერთად მოხდეს სხვა ფაქტობრივი გარემოებების მითითებაც, მაგ: საგამომიებო ორგანოში გამოუცხადებლობა, წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი დაკავებისას, გაქცევის მცდელობა, მიმალვის იდენტიფიცირებადი გეგმის არსებობა და სხვა გარემოებები. მნიშვნელოვანია საზღვრის კვეთის ფაქტიც, უნდა დაკონკრეტდეს რა მიზნით კვეთდა ბრალდებული საზღვარს, აქვს თუ არა უმრავ-მოდრავი ქონება საზღვარგარეთ, ყავს თუ არა ოჯახის წევრები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ქვეყნიდან წასვლის შემთხვევაში რჩებიან თუ არა კმაყოფაზე მყოფი პირები და.ა.შ
3. მტკიცებულებათა განადგურება - ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწმეზე ზემოქმედების ფაქტები. მისი დასაბუთება როგორც წესი ხდება მოწმესა და ბრალდებულს შორის არსებული ნათესაური/სამსახურეობრივი/მეგობრული კავშირის დადასტურებით, რაც არასწორია, რადგან მხოლოდ ნაცნობა აპრიორი არ ადასტურებს ზემოქმედების მოხდენის საფრთხეს, საჭიროა სხვა დამადასტურებელი გარემოებებიც არსებობდეს.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ ბრალდების მხარემ უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკმარისი სტანდარტი და თუ საქმის მასალების საფუძველზე ვერ დადგინდება მისი არსებობა, მიზანშეწონილია, რომ პროკურორმა სასამართლოს მიმართოს მხოლოდ წინასასამართლოს სხდომის თარიღის განსაზღვრის მიზნით და არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.

როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე ხშირად გამოყენებადი ღონისძიებებია პატიმრობა და გირაო. ვეთანხმებით იურისტების გარკვეული ნაწილის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია ქმედითი ალტერნატიული ღონისძიებების სიმცირით.

მართალია სსსსკ ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეებს, მაგრამ მათი გამოყენება საგამონაკლისო შემთხვევების გარდა არ ხდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადი თავდებობის გამოყენება გარკვეული რისკის შემცველია. იმისთვის, რომ აღნიშნული ღონისძიება იყოს ქმედითი და შემაკავებელი აუცილებელია, რომ თავდები გამოირჩეოდეს პასუხისმგებლობის გრძნობით, იყოს კანონმორჩილი და წარმოადგენდეს ავტორიტეტულ პიროვნებას ბრალდებულისთვის. ბრალდების მხარისთვის, რომ რთულია მოკლე დროში შეაფასოს თავდები პირის სანდოობა და მოითხოვოს აღნიშნული ღონისძიების გამოყენება ცხადია. მართალია, ვალდებულების დარღვევის გამო სსსსკ ითვალისწინებს თავდების პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ არა იმ სიმკაცრით, რომ გამოირიცხოს თავდების ნეიტრალური დამოკიდებულება ბრალდებულის მიერ არასათანადო ქცევის მიმართ.

რაც შეეხება შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მივიჩნევთ, რომ გაუმართლებელია დათქმა, რომელიც ამ ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით. ვფიქრობთ, უპრიანი იქნება თუ აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნება და მისი გამოყენება ხელმისაწვდომი გახდება ნაკლებად მძიმე კატეგორიისა და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში.

რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობას, მისი სახელწოდებიდანაც ცხადია, რომ შეზღუდულია იმ პირთა წრე, ვის მიმართაც შესაძლებელია აღნიშნული ღონისძიების გამოყენება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონი არ ადგენს მის სავალდებულო გამოყენებას იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირი სამხედრო მოსამსახურეა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ღონისძიება თავისი არსით პატიმრობას უთანაბრდება და შესაბამისად, არ წარმოადგენს უკიდურესი ზომის გამოყენების კარგ ალტერნატივას.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ გირაოსა და პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი ხაზს უსვამს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას იმ კუთხით, რომ მოხდეს აღკვეთის ღონისძიებების სახეებით ჩამონათვალის გაფართოება. სსსსკ ძირითად აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებსაც, რომელთა გამოყენებაც დამოუკიდებლად არ ხდება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ძირითადი ღონისძიებების დამოუკიდებლად გამოყენება მნიშვნელოვნად შეცვლის არსებულ რეალობას. ვეთანხმებით მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციას, სადაც ნათქვამია, რომ „უნდა მოხდეს წინასწარი დაკავების ალტერნატიული ზომების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება, როგორცაა მაგ: მოთხოვნა იცხოვროს პირმა ერთ კონკრეტულ მისამართზე, აეკრძალოს კონკრეტულ ადგილას მისვლა ან



იქიდან წამოსვლა ნებართვის გარეშე და ელექტრონული მონიტორინგი<sup>133</sup>. ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებას ჩვენც მივესალმებით, მაგრამ ვაცნობიერებთ იმასაც, რომ მისი გამოყენება დამოკიდებულია მყარ ფინანსურ რესურსთან, რადგან არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისგან და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთაგან განსხვავებით სრულწლოვნებისთვის დაწესებულია საფასური. სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით ასევე განისაზღვრა ელექტრონული ზედამხედველობის აპარატურის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარანტიებიც<sup>134</sup>, თუმცა გარდა ეკონომიკური ბარიერებისა, პრობლემურია ის საკითხიც, რომ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება როგორც წესი მხოლოდ მსჯავრდებულებთან მიმართებაში ხდება, ამიტომ მისასაღმებელი იქნება თუ მისი გამოყენება მოხდება ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახითაც.

---

<sup>133</sup> < <https://rm.coe.int/16806f40e1> [25.08.2020].

<sup>134</sup> <<http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/59>> [24.08.2020].

## ბიბლიოგრაფია

### სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
3. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი“;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;

### სამეცნიერო ლიტერატურა

1. ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, ხ. ყარალაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2020;
2. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი (მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი: ბონა კაუზა, 2014;
3. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017;
4. ნიპარიშვილი ბ., ალკვეთის ღონისძიების - სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(58)<sup>18</sup>;

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გ.გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი: მერიდიანი, 2015;
6. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ე.ლომთათიძის, ე.ქარცივაძის, ვ.გოგელიას, თ.ივანიშვილის, მ.ნარინდოშვილის თარგმანი, თბილისი: 2009;
7. ჯორბენაძე ო., „გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენება“ ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1(57)<sup>18</sup>;

## სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის N1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
3. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს კონსტიტუციური წარდგინება N1341;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2019 წლის 08 ნოემბრის N1გ/1866-19 განჩინება;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 14 ივლისის განჩინება N1გ/945-17;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 29 ივნისის განჩინება N1გ/895-17;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის N1გ/566-17 განჩინება;
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის N1გ/386-17 განჩინება;
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2017 წლის 04 ოქტომბრის N1გ/1199-17 განჩინება;
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნოემბრის N1გ/1722-16 განჩინება;

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის N1გ/1923-15 განჩინება;
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის N1გ/1282 განჩინება;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის N1გ-714-14 განჩინება;
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 01 ივლისის N1/გ-621 განჩინება;
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 29 ივნისის განჩინება N10ა/2594;
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“;
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“;
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 06 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „ ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“;
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, „მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ“;
20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, “Labita v. Italy“;
21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“;
22. სასამართლო მეგობრის მოსაზრება საქმეზე „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2015 30 ივლისი, კონსტიტუციური სარჩელი N646;

## ანგარიში და რეკომენდაცია

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N14, მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2019 - თებერვალი 2020;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N13, მონიტორინგის პერიოდი : მარტი 2018 - თებერვალი 2019;
3. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წ.
4. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება N#24/2009;
5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მიღებული 2006 წლის 27 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების 974-ე სხდომაზე;

## ელექტრონული წყაროები

1. <https://rm.coe.int/16806f40e1>;
2. <http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/59>;
3. <https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf>>;
4. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-8.pdf>;
5. <http://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>;